

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის  
კომისიის სხდომის ოქმი №25**

20 ივლისი 2023 წელი  
11:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნინო კვიტაიშვილი და  
გიორგი შარაშიძე.

**მოწვეული სტუმრები:**

1. გიორგი ტყემალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე;
2. გივი ჩხარტიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
უმრავლესობის წევრი

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის  
თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.**

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის  
19/03231949-03; 13.07.2023 განხილვა (გია ყანჩელის მემორიალური დაფის განთავსების  
შესახებ)  
**მომსხენებელი:** კახაბერ ლაბუჩიძე  
**თანამდებობა:** განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე
2. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის  
10/032317252-03; 21.06.2023 განხილვა (ალბერტ თავხელიძის მემორიალური დაფის  
განთავსების შესახებ)  
**მომსხენებელი:** ნატო თავხელიძე  
**თანამდებობა:** ალბერტ თავხელიძის ოჯახის წევრი
3. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის  
19/032319480-03; 13.07.2023 განხილვა (ლავრენტი ჩხარტიშვილი მემორიალური  
დაფის ხელახალი განთავსების შესახებ)  
**მომსხენებელი:** ნოდარ ჩხარტიშვილი  
**თანამდებობა:** ალბერტ ჩხარტიშვილის ოჯახის წევრი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

### მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი, რომელიც შეეხებოდა განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 19/03231949-03; 13.07.2023 განხილვას (გია ყანჩელის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).

თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებელს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის ბიოგრაფიის შესახებ. მისი განმარტებით, გია ყანჩელი იყო საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1981), ღირსების ორდენის კავალერი (1995).

გია ყანჩელი დაიბადა 1935 წლის 10 აგვისტოს, თბილისში. 1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეოლოგის სპეციალობით. დიპლომის აღებისთანავე სწავლა გააგრძელა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტზე, რომელიც 1963 წელს დაამთავრა. 1972 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგედ. 1979 წელს იგი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი გახდა.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია მისი სიმფონიური თხზულებები. 1977 წელს შექმნილმა სიმფონიამ „ინ მემორია მიქელანგელო“ მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ნაყოფიერად თანამშრომლობდა რუსთაველის თეატრთან. მას ეკუთვნის რობერტ სტურუას საუკეთესო სპექტაკლებისათვის შექმნილი მუსიკა („კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „ჰამლეტი“, „ქალი-გველი“, „მეთორმეტე ღამე“).

გია ყანჩელი ცხოვრობდა ბელგიაში, ქალაქ ანტვერპენში, მაგრამ კავშირი საქართველოსთან და რუსთაველის თეატრთან არ გაუწყვიტავს.

გია ყანჩელის შემოქმედებით მემკვიდრეობას განეკუთვნება:

ოპერა „და არს მუსიკა“ (1983წ.), 6 სიმფონია, კონცერტი სიმფონიური ორკესტრისათვის (1962 წ.); ლარგო და ალლეგრო სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის (1963 წ.); „სუვდა ნათელი“ - ბიჭუნათა გუნდის, ორი სოლისტისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის (1985 წ.); მუსიკა სპექტაკლებისთვის: „ხანუმა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“; (შოთა რუსთაველის თეატრის დადგმები). მუსიკა კინოფილმებისთვის: „არ დაიდარდო“, „ქვევრი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „მიმინო“, „შერეკილები“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „როცა აყვავდა ნუში“ და სხვა.

1967 წელს ელდარ შენგელაია „არაჩვეულებრივი გამოფენის“ გადასაღებად ემზადებოდა. მუსიკას იგი თავის პირველივე ფილმებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, პირველივე ფილმებში გამოცდილ კომპოზიტორებთან ერთად მუშაობდა, მაგრამ მაინც არ იყო კმაყოფილი - როგორც მოგვიანებით განაცხადა, მას სჭირდებოდა კომპოზიტორი, „დრამატურგიული, მონტაჟური აზროვნებით“... „არაჩვეულებრივ გამოფენაზე“ მუშაობა თითქმის დაწყებული იყო, როცა ელდარ შენგელაიამ თავისი თაობის ხელოვანის, გია ყანჩელის, პირველი სიმფონია მოისმინა და მაშინვე გადაწყვიტა, რომ გია ყანჩელის მუსიკა „კინემატოგრაფიულია“.

1974 წელს ელდარ შენგელაიამ გადაიღო ფილმი „შერეკილები“, რომლის მუსიკაც ძალიან სწრაფად გახდა პოპულარული. აი რას იხსენებს მომღერალი ნანი ბრეგვაძე ფილმის მუსიკის შესახებ: გია ყანჩელის მუსიკას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. კომპოზიტორი თითქმის არასდროს იყენებს ფოლკლორს. ამ თვალსაზრისით, ელდარ შენგელაიას გარკვეული პრობლემა შეექმნა „შერეკილებზე“ მუშაობისას. მთელი ეს ფილმი ხომ ფოლკლორული მოტივებისგან უნდა აწყობილიყო. ბოლოს გადაწყდა, ფილმის მუსიკა გია ყანჩელთან ერთად ჯანსუდ კახიძეს დაეწერა - ექსპერიმენტმა გაამართლა. მუსიკალური სიჭრელე ძალიან მოუხდა ამ ფილმ-ზღაპარს, მაყურებლის ხსოვნაში კი დარჩა გია ყანჩელის ვალსი, რომელიც, მართლაც რომ, ფრენის განწყობილებას უქმნიდა მაყურებელს. ვალსი მთელი ამ მხიარული და, ამავე დროს, ძალიან სევდიანი ზღაპრის კამერტონია. გია ყანჩელის მუსიკალური მოტივი არ არის „ფოლკლორული თემა“, მაგრამ თითქოს მიისწრაფვის ფოლკლორისკენ, ე.ი. ბუნებისკენ, რომელიც ფინალში, ერთაოზის სიმღერაშია ჩაქსოვილი („ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა“). მუსიკალური დრამატურგიის ასეთი განვითარება, ერთი მხრივ, „შერეკილების“ იდეას გამოხატავს, - ადამიანს შეუძლია გადალახოს ყოფის შეზღუდულობა, მონობის მარწუხები, - მეორე მხრივ კი, გია ყანჩელის შემოქმედების თავისებურებას - კათარზისს, რომელიც განუწყვეტლივ იქმნება კომპოზიტორის საუკეთესო ნაწარმოებებში, მათ შორის - კინომუსიკაში.

გია ყანჩელი გარდაიცვალა 2019 წლის 2 ოქტომბერს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:**  
**კახაბერ ლაბუჩიძემ, გიორგი ტყემალაძემ და ზურაბ ჩიკვილაძემ.**

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, გია ყანჩელი მსოფლიო მნიშვნელობის კომპოზიტორია და მისივე სახელობის ქუჩა გახსნილია ქალაქ თბილისში, ამდენად მნიშვნელოვანია მემორიალური დაფის განთავსება. ეს დედაქალაქის ტურიზმის განვითარებისთვისაც უმნიშვნელო მოვლენა იქნება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განცხადა, რომ დიდი პატივია გია ყანჩელის მემორიალური დაფის განთავსებასთან დაკავშირებით საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღება. ისეთი დიდი კომპოზიტორი, როგორიც გია ყანჩელი იყო, უდავოდ იმსახურებს მისი სახელის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფის განთავსებას.

ზურაბ ჩიკვილაძის განცხადებით, ის მიესალმება ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას, როგორიც გია ყანჩელის მემორიალური დაფის განთავსებაა. დიდი პატივია ასეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ინიციატივა, გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს გია ყანჩელის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი, რომელიც შეუხებოდა განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის 10/032317252-03; 21.06.2023 განხილვა (ალბერტ თავხელიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ბიოგრაფიის შესახებ. მისი განმარტებით, ალბერტ ნიკიფორეს ძე თავხელიძე დაიბადა თბილისში 1930 წლის 16 დეკემბერს მდიდარი ტრადიციების მქონე, ძალზე მუსიკალურ ოჯახში, სადაც უდიდეს პატივს სცემდნენ მაღალი კულტურისა და განათლების მქონე ადამიანებს. მამა - ნიკიფორე თავხელიძე, დედა - ნატალია ქარაბაქი, მმა - ნოშრევან თავხელიძე.

1948 წელს ალბერტ თავხელიძემ დაამთავრა ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლა თბილისში.

1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი სპეციალობით „თეორიული ფიზიკა“. 1956 წელს აკადემიკოს ნ.ნ. ბოგოლიუბოვის ხელმძღვანელობით დაამთავრა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ.ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა და იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „π-მეზონების ნუკლონებზე ფოტოდაბადება“.

1956 წლიდან მუშაობდა ქ. დუბნას ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, ელემენტარული ნაწილაკების თეორიის განყოფილების გამგედ და თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილედ.

1963 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „კვაზიპოტენციური მიღგომა ველის კვანტურ თეორიაში“.

1965-1970 წწ. გახლდათ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის სექტორის გამგე (ქ. პროტვინო).

1967-1971 წწ. ალბერტ თავხელიძე მუშაობდა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განყოფილების გამგედ (ამჟამად უკრაინის (ქ. კიევი) მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნ.ნ. ბოგოლიუბოვის სახელობის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტი). ინსტიტუტის დაარსდა ნ.ნ. ბოგოლიუბოვის და ა. თავხელიძის მალისხმევით.

1967 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ალბერტ თავხელიძე გახლდათ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი (1970-1986 წწ.) (ამჟამად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ქ. მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტი). გარდაცვალებამდე ის სათავეში ედგა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილებას. 1992 წლიდან გახლდათ ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ურნალ „ელემენტარული ნაწილაკებისა და ატომის ბირთვის ფიზიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1971 წელს ა.მ. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში გახსნა თეორიული ფიზიკის განყოფილება, რომელსაც სათავეში ედგა 1971-2005 წწ.

1974 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1977-1994 წწ. ალბერტ თავხელიძე ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით დაარსებულ ი.ა. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტს, ხოლო 1994-2005 წწ. გახლდათ ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

1986-2005 წწ. ალბერტ თავხელიძე არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად.

1995-2005 წწ. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს უმაღლესი განათლების ინფორმატიზაციის საბჭოს ორგანიზაციორი და თავმჯდომარე. ხსენებულ პერიოდში აკადემია აღიჭურვა კომპიუტერებით, ხელმისაწვდომი გახდა ინტერნეტი და შეიქმნა ქსელური, გამოთვლითი და საინფორმაციო რესურსების ბაზა.

1991-2005 წწ. ალბერტ თავხელიძე ხელმძღვანელობდა პაგუოშის მოძრაობის ჯგუფს საქართველოში და გახლდათ მეცნიერთა მსოფლიო ფედერაციის საქართველოს განყოფილების დირექტორი.

1976-1990 წწ. იგი იყო მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კვანტური სტატისტიკის კათედრის პროფესორი. 2008 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მსუ) სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ა.ნ. თავხელიძე არჩეულ იქნა მსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტის ბაზაზე მისივე ინიციატივით შექმნილი „ნაწილაკების ფიზიკისა და კოსმოლოგიის“ კათედრის გამგედ.

1984 წელს არჩეულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1986-2005 წწ. ალბერტ თავხელიძე გახლდათ ი.ა. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1986 წლიდან იგი თავმჯდომარეობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი ფიზიკისა და ასტრონომიის განყოფილების „მყარი სხეულის რადიაციული ფიზიკის“ პრობლემაზე მომუშავე სამეცნიერო საბჭოს.

1969-1991 წწ. იგი გახლდათ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ურნალ „თეორიული და მათემატიკური ფიზიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, რომლის შექმნაში ნ.ნ. ბოგოლიუბოვს უდიდესი წვლილი მიუმღვის. ა.ნ. თავხელიძე ასევე იყო ურნალ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ მთავარი რედაქტორი.

ალბერტ თავხელიძე გახლდათ მეცნიერებათა რამდენიმე აკადემიის უცხოელი წევრი (2003 წლიდან - სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი), ხოლო 1995-2005 წწ. - მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

1967-1990 წწ. ა.ნ. თავხელიძე იყო უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრი, ხოლო 1974-1990 წწ. - სსრ მინისტრთა საბჭოს ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სექციის წევრი. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი სათავეში ედგა საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს.

ალბერტ თავხელიძე გახლდათ ახალგაზრდა მეცნიერთა მრავალი საერთაშორისო კონფერენციის, სემინარისა და სკოლის ორგანიზატორი. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის რანგში, იგი აქტიურად მონაწილეობდა ქ. დუბნაში (1964 წ.), ქ. კიევსა (1970 წ.) და ქ. თბილისში (1976 წ.). ჩატარებული მაღალი ენერგიების ფიზიკის სფეროში გამართული როჩესტერის კონფერენციების ორგანიზებასა და მუშაობაში; ასევე გახლდათ საერთაშორისო კონფერენციის „კვარკი“ ორგანიზატორი, რომელიც 1980 წლიდან რეგულარულად იმართება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის აქტიური მხარდაჭერით.

1987-1990 წწ ა.ნ. თავხელიძე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-11 მოწვევის დეპუტატი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

სსრ სახალხო დეპუტატი 1989-1991 წწ.

1990 წელს ალბერტ თავხელიძე არჩეულ იქნა სსრ მეცნიერებათა აკადემიის (1991 წლიდან - რუსეთის მეცნიერებათა აკადემია) ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

ალბერტ თავხელიძე გარდაიცვალა 2010 წლის 27 თებერვალს. დაკრძალულია ტროკუროვოს სასაფლაოზე ქ. მოსკოვში.

### **სამეცნიერო მოღვაწეობა.**

სამეცნიერო ინტერესთა სფერო: ველის კვანტური თეორია, კვანტური ქრომოდინამიკის ელემენტარული ნაწილაკების დინამიური კვარკის მოდელის შექმნა და განვითარება, ავტომოდელური (მასშტაბურ-ინვარიანტული) ასიმპტოტიკების თეორიები ღრმად-არადრეკად პროცესებში, საკალიბრო თეორიებში ძირითადი მდგომარეობის თვისებებისა და ფიზიკაში ელემენტარული ნაწილაკების შენარჩუნების ფუნდამენტური კანონების ბუნების კვლევა.

არადრეკადი პროცესებისა და ველის კვანტურ თეორიაში ნაწილაკთა ცვლადრიცხვიანი პროცესებისათვის ნ.ნ. ბოგოლიუბოვის დისპერსიული თანაფარდობის მეთოდის განზოგადებით, ა. ა. ლოგუნოვთან ერთად პირველად მიღო დისპერსიული თანაფარდობა პ-მეზონების ნუკლონებზე ფოტოდაბადების ამპლიტუდისთვის.

ასევე ა.ა. ლოგუნოვთან ერთად შემოგვთავაზა ველის კვანტური თეორიის სამგანზომილებიანი ფორმულირება, რომლის ფარგლებშიც ორი ურთიერთმოქმედი ნაწილაკის სისტემის აღსაწერად მიღებულ იქნა რელატივისტური სამგანზომილებიანი კვაზიპოტენციური განტოლებები, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილია ლოგუნოვ-თავხელიძის განტოლების სახელწოდებით. სხვა ანალოგიურ მეთოდებთან ერთად, ხსენებული განტოლებები გამოიყენებოდა წყალბადის ატომის ენერგიის ზეთხელი შესწორებებისა და კვარკების დაკავშირებული მდგომარეობების ენერგიის გამოსაანგარიშებლად.

ა.ა. ლოგუნოვთან და ლ. დ. სოლოვიოვთან ერთად მიიღო სასრულ-ენერგიულ ჯამთა წესები მეზონ-ნუკლონური გაფანტვის ამპლიტუდისთვის და მათ საფუძველზე დაადგინა გლობალური დუალობის თვისებები - ინტეგრალური თანაფარდობა გაფანტვის ამპლიტუდის რეზონანსულ ნაწილსა და რეჯეს პარამეტრებს შორის. გლობალური და ლოკალური (ვენეციანო) დუალობის თვისებები საფუძვლად დაედო ადრონების სიმური მოდელის ფორმულირებას.

ბ.ა. არბუზოვთან და რ.ნ. ფაუსტოვთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა დაადგინა ფერმიონების მასის წარმოქმნის შესაძლებლობა ორგანზომილებიანი ველის კვანტური თეორიის მოდელში სიმეტრიის სპონტანური დარღვევის ხარჯზე.

1965 წელს ნამბუსა და ჰანის პარალელურად, ნ.ნ. ბოგოლიუბოვთან და ბ.ვ. სტრუმინსკისთან ერთად ალბერტ თავხელიძემ წამოაყენა ჰიპოთეზა შემდგომი “ფერად” წოდებული კვარკების ახალი კვანტური რიცხვის არსებობის შესახებ, რომელსაც საკვანძო ფუნქცია აკისრია კვანტურ ქრომოდინამიკაში. კვაზიდამოუკიდბელი კვარკების მოდელის ფარგლებში მიღებულ იქნა 1987 წელს აღმოჩენად დარეგისტრირებული მატვეევ-მურადიან-თავხელიძის კვარკული თვლის ფორმულები, რომელთა მიხედვითაც დიდი ენერგიებისა და იმპულსების გადაცემისას ადგილი აქვს დრეკადი გაფანტვის ამპლიდუტისა და ადრონების ფორმ-ფაქტორების ხარისხობრივ ქცევას ამპლიტუდის დიდი იმპულსით. ადრონების დინამიური კვარკული მოდელი საფუძვლად დაედო ელემენტარული ნაწილაკების SU(6)-სიმეტრიის რელატივისტური განზოგადების მიებას და შედეგად მივიღეთ რელატივისტურ-კოვარიანტული განტოლებები ნაწილაკების დამოკიდებული სისტემებისთვის ველის კვანტურ თეორიაში (ვ.გ. კადიშვესკისთან, ჰ.მ. მურადიანთან, ნგუენ ვან ჰეუსთან, ი.ტ. ტოდოროვთან, ჰ.ნ. ფაუსტოვთან ერთად). 1987 წელს სსრკ აღმოჩენათა სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირებულ იქნა აღმოჩენა “მატვეევ-მურადიან-თავხელიძის კვარკული თვლის წესი”.

ვ.ა. მატვეევთან და რ.მ. მურადიანთან ერთად წამოაყენა ავტომოდელობის პრინციპი მაღალი ენერგიების ფიზიკაში (1969) და მის საფუძველზე განავითარა ლეპტონების ადრონებთან ღრმად-არადრეკადი ურთიერთქმედების სხვადასხვა პროცესის მასშტაბურ-ინვარიანტული ქცევის მოვლენების აღწერის ერთიანი მიდგომა.

1972 წელს ნ.ნ. ბოგოლიუბოვთან და ვ.ს. ვლადიმიროვთან ერთად ველის ლოკალური კვანტური თეორიის ფარგლებში დასაბუთა ღრმად-არადრეკადი პროცესების ავტომოდელური (მასშტაბურ-ინვარიანტული) ასიმტოტიკების არსებობა და დაადგინა ამ პროცესების სტრუქტურული ფუნქციების ზუსტი ურთიერთგავშირი ლოკალური კომუტატორების ქცევასთან სინათლის კონუსის მიმდებარედ.

პირველად, ელექტროსუსტი ურთიერთქმედების სტანდარტული თეორიის ფარგლებში, ვ.ა. მატვეევთან, ვ.ა. რუბაკოვთან, ვ.ფ. ტოკარევთან და ვ.ე. შაპოშნიკოვთან ერთად წამოაყენა და გადაჭრა ზემაღლი სიმტკიცის ექსტრემალურ პირობებში ნორმალური ბარიონული მატერიის არასტაბილურობის პრობლემა. ნ.ვ. კრასნიკოვთან და ვ.ა. კუზმინთან ერთად «დიდი გაერთიანების» თეორიების ფარგლებში შემოგვთავაზა საკალიბრო ურთიერთქმედების მოდელი ზესუსტი CP-დარღვევით, რომელიც ერთდროულად იძლევა იშვიათ და K-დაშლებში CP-დარღვევის, ასევე სამყაროს ბარიონული ასიმეტრიის წარმოშობის აღწერის სამუალებას.

ალბერტ თავხელიძე გახლავთ 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, რომელთა ციტირების ინდექსი საკმაოდ მაღალია.

## **ძირითადი სამეცნიერო შრომები:**

- კვარკები და ელემენტარული ნაწილაკების შემადგენელი მოდელები (მაღალი ენერგიების ფიზიკა და ელემენტარული ნაწილაკების თეორია, 1966);
- სწორხაზოვანი მანძილების მოახლოება ველის კვანტურ თეორიაში (1974);
- ძირითადი მდგომარეობის სტრუქტურა საკალიბრო თეორიებში; ორგანზომილებიანი კვანტური ელექტროდინამიკა (თეორიულ-ჯგუფური მეთოდები ფიზიკაში, 1980, ტ. 2);
- მეზონური ფაბრიკა - კვლევის ახალი ძლიერი ინსტრუმენტი (1983).
- ჯილდოები და წოდებები:
- დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის (1971), ოქტომბრის რევოლუციის (1978) ორდენებით, მეგობრობის ორდებით (1990), ღირსების ქართული ორდენით (2000).
- 1973 წ. - სსრკ სახელმწიფო პრემია ნაშრომთა ციკლისთვის „π-მეზონების ნუკლონებზე ფოტოდაბადება“;
- 1988 წ. - ლენინური პრემია ნაშრომთა ციკლისთვის „ახალი კვანტური რიცხვი - ფერი და დინამიური კანონზომიერებების დადგენა ელემენტარული ნაწილაკებისა და ატომის ბირთვების კვარკულ სტრუქტურაში“;
- 1998 წ. - რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემია „ბაქსანის ნეიტრინული ობსერვატორიის შექმნისა და ნეიტრინული ფიზიკის, ელემენტარული ნაწილაკებისა და კოსმოსური სხივების ფიზიკის სფეროში ჩატარებული კვლევებისთვის“;
- 2001 წ. - რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემია „მოსკოვის მეზონური ფაბრიკის პროტონების მძლავრდენიანი ხაზოვანი ამაჩქარებლის შემუშავების, შექმნისა და სამეცნიერო ექსპლუატაციაში შეყვანისთვის“;
- 2000 წ. - მიენიჭა „ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის საპატიო დოქტორის“ წოდება;
- 2002 წ. - დაჯილდოვდა ნ.ნ. ბოგოლუბოვის პრემიით (ბირთვულ კვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტი);
- 1996 წ. - მიენიჭა ნ.ნ. ბოგოლუბოვის პრემია (უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია);
- 2002 წ. - მიენიჭა „უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნ.ნ. ბოგოლუბოვის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის საპატიო დოქტორის“ წოდება;
- საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განმტკიცებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის, 1998 წელს ა. ნ. თავხელიძე დაჯილდოებულ იქნა მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის მიერ დაწესებული ოქროს მედლით „მეცნიერების განვითარების ხელშეწყობისთვის“;
- მეცნიერთა მსოფლიო ფედერაციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისა და ქრისტეშობის 2000 წლისთავის აღსანიშნავად, რომის პაპმა იოან პავლე II 2000 წელს ა. ნ. თავხელიძეს გადასცა სამახსოვრო მედალი.
- იგი გახლდათ თბილისის, თელავისა და ბაღდათის (საქართველო), ტროიცკის (რუსეთის, მოსკოვის ოლქი) საპატიო მოქალაქე.

- ა. ნ. თავხელიძის სახელი პირველ ადგილზეა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვულ კვლევათა ინსტიტუტის საპატიო წიგნში.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ნატო თავხელიძეს, რომელმაც კომისიის წევრებს მიმართა აღმერტ თავხელიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაციის თხოვნით.

### **დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: გიორგი ტყემალაძემ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს განცხადებით, მნიშვნელოვანია ისეთი დიდი მეცნიერის დაფასება, როგორიც აღმერტ თავხელიძე იყო.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ინიციატივა, გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს აღმერტ თავხელიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მესამე საკითხი, რომელიც შეეხებოდა განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი წერილის N19/032319480-03; 13.07.2023 განხილვა (ლავრენტი ჩხარტიშვილის) მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა ლავრენტი ჩხარტიშვილის ბიოგრაფიის შესახებ, კერძოდ: ლავრენტ ხარიტონის-ძე ჩხარტიშვილი დაიბადა 1924 წლის 6 ივნისს. 1945-1950 წწ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე. 1951-1960 წწ მუშაობდა ქ. თბილისის განათლების სამართველოს კადრების განყოფილების გამგედ და პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ქალაქ თბილისის 67-ე სამუალო სკოლაში, მათემატიკის მასწავლებლად. 1960 წლიდან 1984 წლის აგვისტომდე (გარდაცვალებამდე) დირექტორობდა თბილისის 61-ე სამუალო სკოლას. ლავრენტ ჩხარტიშვილს მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდო. ფლობდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის და სახალხო მასწავლებლის წარჩინებულის საპატიო წოდებებს.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ნოდარ ჩხარტიშვილის, რომლის განმარტებით სკოლის სამეურვეო საბჭოს, ქალაქ თბილისის მერიის და საკრებულოს გადაწყვეტილებით, 2009 წელს, ქალაქ თბილისის N61-ე საჯარო სკოლის ფასადზე მოხდა მუნიციპალიტეტის სპეციალურ სამსახურებთან შეთანხმებით დამზადებული მემორიალური დაფის განთავსება. სკოლის შენობის კაპიტალური რეკონსტრუქციის შედეგად, ძველი ავარიული ნაგებობის აღების გამო, მოხდა მემორიალური დაფის დემონტაჟი. სკოლის პედკოლექტივის მიერ, მემორიალური დაფა დროებით გადაეცა ოჯახს შესანახად, რათა რეაბილიტაციის შემდგომ მომხდარიყო ხელახალი განთავსება. ნოდარ ჩხარტიშვილმა კომისიის წევრებს მიმართა თხოვნით ლავრენტი ჩხარტიშვილის მემორიალური დაფის ხელახალი განთავსების შესახებ რეკომენდაციის თხოვნით.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:  
ზურაბ ჩიკვილაძემ, ნინო კვიტაიშვილმა და გივი ჩხარტიშვილმა.

ზურაბ ჩიკვილაძემ და ნინო კვიტაიშვილმა გამოხატეს სურვილი ახალი მემორიალური  
დაფის დამზადებისა და განთავსების შესახებ.

გივი ჩხარტიშვილის განმარტებით პატივია წარმოდგენილი საკითხების პროცესში  
მონაწილეობის მიღება.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე  
საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, დადებითად შეაფასა წარმოდგენილი  
ინიციატივა, გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის  
მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა  
საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ლავრენტი  
ჩხარტიშვილის მემორიალური დაფის ხელახალი განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

კახაბერ ლაბუჩიძე